სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/110

ქ. თბილისი 10 მაისი 2018

სტუ-ის დოქტორანტურის და სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 მაისის №01-05-02/08 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიცვალოს აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 9 მარტის №01-05-04/44 დადგენილებით დამტკიცებული სტუ-ის დოქტორანტურის დებულების 12.1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომლის ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, სწავლების მეხუთე სემესტრში აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე ჩაატარა იმ დროისათვის მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია; აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე მოხსენება წაიკითხა დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა); საბჭოში წარადგინა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაცია; წარმოადგინა სამეცნიერო ხელმძღვანელის (შემდგომში ხელმძღვანელი) მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები“.

2.12.3 მუხლს დაემატოს: თ) განცხადება პლაგიატის არარსებობის შესახებ;

3. 11.3 მუხლი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის მიერ საბუთების წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის – Strikeplagiarism.com-ის ოპერატორს სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად. პლაგიატის არარსებობის (დადებითი შეფასების) შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი ფასდება დადებითად, თუ:

ა. მსგავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 50%-ს (5-სიტყვიანი წინადადება);

ბ. მსგავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 5%-ს (25- სიტყვიანი წინადადება);

4. შევიდეს ცვლილება აკადემიური საბჭოს მიერ 2017 წლის 27 თებერვალს №2324 დადგენილებით დამტკიცებულ სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს დებულებაში და მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით: „დისერტაციის დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომლის ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სხვა კომპონენტი, არა აქვს აკადემიური და ფინანსური დავალიანება, სწავლების მეხუთე სემესტრში აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე ჩაატარა იმ დროისათვის მის მიერ შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია. აკადემიური დეპარტამენტის გაფართოებულ სხდომაზე წაიკითხა მოხსენება დისერტაციის შესახებ (წინასწარი დაცვა), საბჭოში წარადგინა ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაცია. წარმოადგინა სამეცნიერო ხელმძღვანელის (შემდგომში ხელმძღვანელი) მიერ ხელმოწერილი დასრულებული დისერტაციისა და ავტორეფერატის ეგზემპლარები“;

5. მე-8 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს: თ) განცხადება პლაგიატის არარსებობის შესახებ;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**